Erasmus+

სალექციო კურსი მედიაში დეზინფორმაციის პრობლემებთან დაკავშირებით, ვალიადოლიდის უნივერსიტეტში

2022 წლის 16 - 20 მაისს, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, აკადემიური საქამიანობის მიზნით მობილობით იმყოფებოდა ესპანეთის ვალადოლიდის უნივერსიტეტში (Universidad de Valladolid – UVa).

ვალიადოლიდის უნივერსიტეტი მდებარეობს ქ. ვალადოლიდში. მე-13 საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტი ესპანური განათლების მდიდარი ტრადიციების განმავითარებელია. ამჟამად უნივერსიტეტის 26 000 სტუდენტს ემსახურება 2300 პროფესორი, 1000-მდე ადმინისტრაციული პერსონალი. უნივერსიტეტს აქვს სწავლების სამივე ფორმა და ისწავლება თითქმის ყველა საუნივრსიტეტო მეცნიერებები, მათ შორის, სოციალური მეცნიერებები, სადაც წარმოდგენლია ჟურნალისტიკის მიმართულება.

ახალგაზრდა ქართველ პროფესორს ჟურნალისტიკის მიმართულებით მოუწია საინტერესო თანამშრომლობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროფესორებთან და სტუდენტებთან.

საერთაშორისო დეპარტამენტის თანამშრომელმა ლიდია ალბამ მოაწყო თბილი მიღება, სადაც მობილობის მონაწილეებს გააცნო სამუშაო პროგრამა, მისცა პარტნიორი პროფესორის კონტაქტები, ასევე, ესაუბრა ვალადოლიდის უნივერსიტეტსა და თვით ქალაქზე, მისცა რჩევები უნივერსიტეტისა და ქალაქის უკეთ გასაცნობად.

პირველი საქმიანი შეხვედრა შედგა პარტნიორ პროფესორთან, ქალბატონ ესტრელა ალონსოსთან. შეხვედრაზე განიხილეს კვირის განმავლობაში ჩასატარებელი სალექციო და სასემინარო საკითხები და იმავე დღეს ქართველი პროფესორი პირველი ლექციებით წარგა ესპანელი სტუდენტების წინაშე.

ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი მთელი კვირის განმავლობაში დაგეგმილი მასალების მიხედვით, დღეში დაახლოებით 3 საათს ატარებდა სტუდენტებთან და პარტნიორ პროფესორთან აუდიტორიაში და უზიარებდა მათ თავის გამოცდილებას. მათი მხრიდან დიდი ინტერესი პროფ. ცოტნიაშვილისთვის განსაკუთრებული მოტივაცია აღმოჩნდა.

როგორც გამოიკვეთა, მედიაში დეზინფორმაციის პრობლემები ესპანური განათლებისა და მედიის დიდი პრობლემაცაა, მათი მხრიდან საკუთარი მიდგომების გაზიარება ახალი კვლევებისა და სალექციო მასალების შექმნის საფუძველი გახდა ქართველი კოლეგისათვის.

სტუდენტების თხოვნით, ზაზა ცოტნიაშვილმა მონაწილეობა მიიღო პრაქტიკული სატელევიზიო გადაცემის მომზადების პროცესშიც და მათ ერთობლივად მოამზადეს გადაცემა დეზინფორმაციის პრობლემების შესახებ.

ქალბატონმა ესტრელამ ქართველ კოლეგას მოუწყო შეხვედრა პირველი ესპანური გაზეთის რედკოლეგიასთან, რომელიც 1854 წლიდან გამოდის უწყვეტატად. მათი მუშაობის პრინციპები ერთობ საინტერესო აღმოჩნდა ქართველი მეცნიერისთვის.

სამუშაო ვიზიტის განმავლობაში, პროფ. ცოტნიაშვილს შესაძლებლობა ჰქონდა დაეთვალიერებინა ქალაქი სხვა კოლეგა პროფესორებთან ერთად და პარალელურად ესაუბრა სამომავლო ერთობლივ პროექტებზე უნივერსიტეტების ჩართულობით.

დაგეგმილი აკადემიური საქმიანობის წარმატებით შესრულება უნივერსიტეტმა შესაბამისი სერტიფიკატით დაადასტურა.

შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისში

ვალადოლიდის უნივერსიტეტის ისტორიული შენობა

სტუდენტებთან ლექციების კურსის დასაწყისში საუბარი ეხება საქართველოს და საქართველოს განათლების სისტემას

ლექციის პროცესი ესტერლა ალონსოსთან ერთად



ესპანელი სტუდენტები სემინარზე

ესპანელი სტუდენტები ლექციაზე

ჟურნალისიტიკის სპეციალობის სტუდენტებთან ერთად გადაცემის მომზადების პროცესი

უძველესი ესპანური გაზეთის „ნიუს რუმი“

ლექციებთან დაკავშირებით პოზიტიური გამოხმაურება სოციალურ ქსელში